№ 26

პარასკევი, 4 თებერვალი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 26

პარასკევი, 4 თებერვალი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**ვლადიმირ სტეფანესძე კოვალსკი და ნადეჟდა ვლადიმერის ასული კოვალსკისა** გულითადის მწუხარებით სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა დაესწრნენ 4 თებერვალს დილის 9 სათზე კუკიის სასაფლაოს ეკკლესიაში. წლის წირვისა და პანაშვიდის პირველი საყვარელი მეუღლისას და მეორის-ძვირფასის დედისას **სარრა ივანეს ასულის კოვალსკის** სულის მოსახსენებლად. (1—1)

**„ივერია“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრაფო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**ТОВАРИЩЕСКІЙ ОБѢДЪ**
**ПО СЛУЧАЮ 75-ЛѢТІЯ**
**Императорскаго С.-Петербургскаго университета**
*состоится 8-го февраля въ 3½ часа дня*
**въ залѣ „Тифлисскаго Кружка“.**

Цѣна обѣда (съ шампанскимъ и другими винами и ликерами, жженкой, а также считая музыку, телеграммы и все прочее) 7 рублей.

Гг. бывшіе студенты С.-Петербургскаго университета и другихъ высшихъ учебныхъ заведеній могутъ пріобрѣсть билеты: у 1) прис. пов. А. С. Френкеля (Саперная ул.. д. Ключарева и въ окружномъ судѣ; 2) Ю. Н. Милютина (Гудовича ул., № 2); 3) В. Н. Богословскаго (въ помѣщеніи закав. отд. госуд. двор. зем. банка, на Сололакской ул.), 4) Н. Ѳ. Илляшенко (Эриванск. площадь, камера слѣдоват. 2-го отдѣл.); 5) А. А. Іоаннисіани (въ редакціи газ. „Ардзганкъ“) 6) кн. В. Н. Черкезова (Новая ул., № 7) М. И. Черникова (въ первой классической гимназіи); 8) въ конторѣ газ. „Кавказъ“; 9) въ конторѣ газ. „Новое Обозрѣніе“; 10) въ конторѣ газ. „Тифлисскій Листокъ“; 11) въ центральной книжной торговлѣ (3—1)

## ტფილისი, 4 თებერვალს

—

მაშინ როდესაც ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წევრნი ვერ ახერხებენ გონიერად გაუძღვნენ მამა პაპათა ღვაწლით დაარსებულს დაწესებულებას, ვაკე იმერეთის რვა სოფელი იწყებს დიდსა და საშვილიშვილოდ სასარგებლო საქმეს და ამთავრებს ჩინებულად.

სამის წლის წინად ამ სოფლებმა განიზრახეს არხის გაჭრა და ცხენის წყლითგან წყალის გამოყვანა. დღეს ეს განზრახვა საქმედ გადაიქცა და მცხოვრებლებს საკმაო წყალი აქვთ. სიგრძე არხის ყველა შტოებისა 130 ვერსია, და ამდენის მუშაობის შესრულება შეიძლო ხალხმა ძალ-დაუტანებლად, მხოლოდ საკუთარის სურვილით.

თუმცა წყალის ხმარება ჯერ წესზედ არ არის დამყარებული, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ამ ახალის საქმისა უკვე დაეტყო ადგილების ფასს. იქ, სადაც ამ რამდენისამე წლის წინად ქცევა საყანე ადგილი თუმნად ღირდა, დღეს იმავე ადგილის ფასი 15 და 20 თუმნამდე ავიდა, რადგანაც მოსარწყავი შეიქნა.

ამას გარდა, ვინ მოსთვლის ოჯახის კაცისთვის რამდენად საჭიროა და რა ზომამდე განაკარგებს წყალი იმის კეთილდღეობას!

მაგრამ პატარა უსიამოვნება, სამწუხაროდ, ამ საქმესაც დაჰყვა დაბადებისათანავე.

ჩვენ სრულიად არ გვაკვირვებს, რომ ყოველს საქვეყნო საქმესთან, რომელიც მოითხოვს წმიდა გულისა და გრძნობის ადამიანს, გაჩნდებიან ხოლმე ისეთნი საზოგადო მოღვაწენიც, რომელთაც მხოლოდ თავის უკეთური მადა ახსოვთ და ყოველს საგანს მხოლოდ ამ მადის თვალთა ისარით უცქერიან. მაგრამ კიდევ უფრო გაუგებარი და საკვირველი ის არის, როდესაც ცხადადა სჩანს, რომ ეს ანგარიში ყალბ ნიადაგზეა აშენებული, საქვეყნო საქმის დაბრკოლება არ ხერხდება და მაინც მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც სცდილობენ ყველაფერი არიონ და გააფუჭონ.

მხოლოდ ამ გვარს მეცადინეობას უნდა მიეწეროს, რომ ხონის პირველ განყოფილებას ვერ ამოურჩევია აქამდის სავალებულო „საბჭოს წევრი“, რომელმაც მეორე და მესამის განყოფილების წევრებთან ერთად უნდა მოუაროს ამ ძვირფასს საქმეს. 19 იანვარს მომხდარს კენჭის ყრაზედ იყვნენ არჩეულნი 2 და 3 განყოფილებისაგან ბ-ნი ნიკო ნიკოლაძე და ბ-ნი დავით ლორთქიფანიძე, ხოლო მთელის ამ საქმის მონაწილეთაგან გამგეთ (მერაბათ) იქნა არჩეული ბ-ნი დავით ლევანის ძე დოლობერიძე.

ხალხი სასოებით მოელის წესისა და რიგის დადგენას, რადგანაც იმედი აქვს, რომ სამის წლის მუშაობის ნაყოფი საკეთილო იქნება მისის ოჯახისთვის. საქმის სრულიად დასაგვირგვინებლად საჭიროა, რომ ხალხმა მალე აირჩიოს თავისის ინტერესების დამცველი „საბჭოს წევრი“ და ასე მხნედ დაწყებული განზრახვა სისრულეში მოიყვანოს.

დაგვიანება ამ შემთხვევაში საზარალო იქნება მხოლოდ პირველის განყოფილებისათვის, რომელსაც ეკუთვნის ხონი, საწულუკიძეო და გუბი, თორემ სრულიად ვერ დააბრკოლებს საქმის მიმდინარეობას. უკვე არჩეული ორი წევრი საბჭოსი და მერაბი, რომელიც თავმჯდომარეა საბჭოსი, შეადგენს კანონიერს დაწესებულებას და ამათ თითონ შეუძლიათ ხელახლა მოახდინონ კენჭის-ყრა მესამე წევრის ასარჩევად.

მაშ ამ მხრივ საქმის გაჭიანურება, ცხადია, არ არის უებარი საშუალება საგნის დასაბრკოლებლად და ყოველი ამ გვარი მეცადინეობა უქმია.

აქედგან მხოლოდ ერთი რამ არის შესაძლო და მოსალოდნელი, რომლის ნიშანი უკვე სჩანს: თუ ხონის განყოფილება არ აირჩევს „საბჭოს წევრს“, მაშინ წყალთა და მდინარეთა ინსპექცია და გუბერნიის მთავრობა თითონ დანიშნავს მესამე წევრს და ეს მინიჭებული უფლება თავის დანდობილის კაცის არჩევანისა ხალხს მოაკლდება.

რამდენად სასურველია და სასარგებლო ასე დაბოლოვება საქმისა, ამას შემდეგ დავუბრუნდებით.

მევალე

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ წინ, ოთხშაბათს, 2 თებერვალს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნთ კანდელაკისა და შათირიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს „და-ძმა“. წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. მებენეფისეებს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს. დრამის შემდეგ გამართული იყო დივერტისმენტი, რომელშიაც იმღერეს სომხური და სხვა კუპლეტები

*** ამიერ კავკასიის რკინის გზაზე განკარგულება მოახდინეს, რომ იმ სახალხო მატარებლებს რომელიც განჯასა და ტფილისს შუა დაიარება, ამას იქით აღარ მოაბან ცისტერნის ვაგონები, ნავთით სავსე, რადგანაც საშიშია, რომ დაჯახების ან რამე უბედურების დროს ცეცხლიც არ გაჩნდეს. ეს განკარგულება გამოიწვია ამას წინად სუფსასა და ჯუმათს შუა მომხდარმა უბედურებამ.

*** ქართული კედლის კალენდარი სულ გაყიდულა და ამ ჟამად შოვნა აღარ შეიძლება; ყიდვის მსურველი-კი მრავალია თურმე. კარგი იქნება, რომ დამბეჭდი ბ-ნი ჩარკვიანი შემდეგისთვის მაინც მეტს დაჰბეჭდავდეს ხოლმე.

*** ჩვენს დაბებში ხანდისხან წვრილი წიგნები იბეჭდება და ისე სადღებ, რომ ქალაქში კაცი თვალითაც ვერ ჰნახავს ხოლმე. მაგალითად, 1893 წ. სიღნაღის სტამბაში დაუბეჭდიათ „გულთმისანი სარკე“ ლექსად და ერთი კიდევ სხვა რაღაც პატარა წიგნი.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ჰბეჭდავს ქართულის წიგნების კატალოგს, მესამე გამოცემად. მეორედ შარშან დაიბეჭდა.

*** ახალ სენაკში, კ. თავართქილაძის სტამბაში იბეჭდება ანტ. ფურცელაძის ისტორიული პოემები „მარაბდა“ და „წყალობა“, მეორე გამოცემანი.

*** ამას წინად კავკასიის რკინის გზის მმართველობამ სთხოვა მთავრობას ნება დაგვრთეთ ტფილისში ჩვენი საკუთარი ტელეფონები გვქონდესო. გუშინ მმართველობას პასუხი მოუვიდა პეტერბურგიდგან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა, მხოლოდ რკინის გზის მმართველობას მისცა შემდეგი შეღავათი: პირველ სამის წლის განმავლობაში რკინის გზის მმართველობამ ტელეფონების სახმარებლად ფოსტა-ტელეგრაფის უწყების სასარგებლოდ უნდა შეიტანოს ხაზინაში იმ ფასის ნახევარი, რომელიც კერძო აბონენტებისათვის არის დაწესებული.

*** დღეს, დილით, საგანგებო მატარებლით ტფილისიდგან ფოთში გაემგზავრა კავკასიის რკინის გზის უფროსი ბ-ნი ფრიდე რკინის გზის დასათვალიერებლად დასარევიზიოდ.

*** ტფილისის მხატვრები მიწვეულნი არიან მოსკოვში მხატვართა კრებაზედ, რომელიც იქ დანიშნულია აპრილის 18-ს.

*** ტფილისის საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებას სიღნაღიდგან აუწყებენ, რომ აქ ძლიერ გავრცელდა იმფლუენცია, რომლითაც მრავალნი იხოცებიან. ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორის მოადგილემ განკარგულება მოახდინა, სიღნაღში ერთი ექიმი იქმნას გაგზავნილიო.

*** მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა ამ დღეებში ნება დართო ტფილისის პირუტყვთა მფარველს საზოგადოებას მის მიერ წარმოთქმული სიტყვა პირუტყვთა სიბრალულისა და მფარველობის შესახებ დაბეჭდვისა და ხალხში გავრცელებისა.

*** ამ ჟამად თერგის ოლქიდგან დიდძალი პური მოდის. ჩრდილოეთ კავკასიის პურის გამყიდველთ, რადგან თერგის ოლქიდგან ტფილისში ჩამოტანილი ხორბალი უფრო იაფად ისყიდება, ვიდრე ამიერ-კავკასიის სხვადა-სხვა ალაგებიდგან ჩამოტანილი ხორბალი, განზრახვა აქვთ ტფილისში პურის დიდი საწყობი გაჰმართონ ამ პურისა.

*** რადგანაც ქ. ერზერუმში (ოსმალეთი) ხოლერა გაჩნდა, კავკასიის მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ერზერუმიდგან მომავალს მგზავრებს და იქიდგან გამოტანილს ნივთეულობას ხოლერის გადმოტანის შიშისა გამო. ამიტომ ამ ახლოს ხანში ტფილისში ექიმთა კრებაა დანიშნული, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს თუ რა ღონისძიება იქმნეს მიღებული ერზერუმიდგან კავკასიაში ხოლერის შემოტანის წინააღმდეგ.

*** ქუთაისი: ქუთაისის ხიდს ძლიერ ეჭირვება შეკეთება; ფიცრები ალაგ-ალაგ სულ დამპალია და დაცვლა უნდა. ამას წინად კინაღამ უბედურება დატრიალდა: ღამის 11 საათზედ ეტლით გაიარეს ამ ხიდზედ. ეტლქვეშ ფიცარი გატყდა და, ცოტა გაწყდა კინაღამ შიგ ჩაიჩეხნენ შიგ მსხდომნიცა, ეტლიც და ცხენებიც.

*** სიღნაღი: ეს ორი თვეა, რაც აქ კვირა-უქმეობით დუქნების კეტვა შემოიღეს. დუქნებს ჰკეტავენ შუადღემდე, 12 საათამდე, სამწუხაროდ, ბევრნი 10 საათამდეც არ იცდიან. ამას გარდა, ვერაფერი საქმეა ისიც, რომ ზოგი სულ არა ჰკეტავს, თავისუფლად ვაჭრობს და ამით სხვებს ზარალს აძლევს. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

*** განჯა: ამ დღეებში რკინის გზის ლიანდაგის დარაჯი ვასილი ჩერშევი ქვეშ მოჰყვა ორთქლის მატარებელს, რომელმაც ორივე ფეხები

მუხლში გადასჭრა. ეს ამბავი მოხდა დილის 11 საათზედ. დაშავებული საღამომდე იტანჯა და 9 საათზედ სული დალია.

*** ტყიბულა: 1 თებერვალს, იმ დროს, როდესაც სახალხო მატარებელი მიდიოდა ქუთაისიდგან, დიდის წვიმების გამო ჩამოწვა მიწა-ქვის ზვავი. მემაშინემ დროზედ გააჩერა მატარებელი და მით უბედურობას ააცილა ხალხი. მიმოსვლა მატარებლისა ერთ დღეს იყო შეჩერებული.

## დამაკვირდი

ზოგიერთა ქალები წიგნებს საათსავით საჩვენებლად და თავ-მოსაწონებლად ატარებენ, სულერთია, ის საათი თუნდა იდგეს, ან რიგზედ არ დადიოდეს.

კანტი

**

კეთილშობილებას შთამომავლობისას თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი მხოლოდ მამა-პაპათა სიკეთეა. სიმდიდრე კარგია, მაგრამ შემთხვევისაგან არის დამოკიდებული. დიდება კეთილშობილი მისწრაფებაა, მაგრამ არა საიმედო-კი. მშვენიერება საუცხოო ღირსებაა, მაგრამ არა დიდ-ხნოვანი და ადვილად წარმავალი. ჯანმრთელობა ძვირფასია, მაგრამ ადვილად სუსტდება. ღონე სასურველი თვისებაა, მაგრამ ავადობა და მხცოვანება სთრგუნავს. მხოლოდ და მარტო ცოდნაა დაუთრგუნელი, ღვთიური მადლი. უმაღლესნი უპირატესობანი, რომელიც ადამიანს აქვს მომადლებული, გონებაა და ნიჭი მეტყველებისა.

პლუტარხი

**

ვინც თავს იწონებს რომელისამე საიდუმლოს ცოდნით, იმას ამ საიდუმლოს ერთი ნახევარი უკვე ნათქვამი აქვს და მეორე ნახევრის თქმასაც არ დაახანებს.

ჟან პოლი

## ნაწყვეტები

—

გულს აუშალა დარდები
შენმა ჩანგისა ჟღერამა,
თვალები ცრემლით ამივსო
შენმავე ტკბილმა მღერამა,
ამანეტარა ზეცამდე
სამოთხის ჟრუანტელმა,
ოჰ, ნეტა ასე მამყოფ-ის
კუბომდე ბედის წერამა!..

—

ნუ ჰნატრობ, გულო, სიკვდილსა,
ნუ ხარ სულ მოკლე სნეული,
ასეა წუთის ქვეყანა,
მოღალატე და წყეული:
დღეს ჭირის ზღვაში ჩაგაგდებს,
დაგტანჯავს, ვითა გრძნეული,
ხვალ სიხარულით აგავსებს
სვე-ბედი ანაზდეული.

დ. მაჩხანელი

## კორესპონდენცია

—

**ქ. გორი.** როგორც ამას წინადაც გწერდით ს. რუისიდგან, 24-ს იანვარს გორის სამაზრო სამმართველოში უნდა მომხდარიყო კრება ლიახვის ხეობის მიწათ მფლობელებისა, თავად-აზნაურთა და გლეხებისა „მირაბის“ ამოსარჩევად. ეს კრება მოხდა, რადგანაც ჯეროვანი რიცხვი გამოცხადდა ამომრჩეველ-მფლობელთა პირველ მოწოდებაზედვე. კრებას დაესწრნენ: სამაზრო სამმართველოს წარმომადგენელნი, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და მთავრობისაგან გამოგზავნილი ინჟენერ-ჰიდრავლიკოსი. კრება მით დაიწყო, რომ ამომრჩეველთ გააცნეს ამ ახალის თანამდებობის მნიშვნელობა. შემდეგ მაზრის უფროსმა განუცხადა ყველას, რათა შესდგომოდნენ მირაბის ამორჩევას. მთლად ყველა სოფლების გლეხებმა დაჰკრეს ცივიუარი: «არ გვინდა, არა და არაო!..» როცა ჯერ არც-კი დაეთავებინა მაზრის უფროსს მათდა მიმართული სიტყვა. თავად-აზნაურობაც ტყუილად ურჩევდა გლეხებს, რომ ეს მათი საკუთარივე სარგებლობაა. — „არა, ძმავ, ჩვენ ახალ ხარჯს ველარ გავწევთ, არა, არა!.. თუ ჩვენთვის თქვენ კარგი გინდოდეთ, ე ამტელ ილაჯ გაწყვეტილ სოფელ შეიბრალებდით როგორმე, ისე არავინ არი, რო უშეშობით არ იყვეს შეწუხებული და გამოუშუშავ პურს არა სჭამდეს, აბა გაგვიხსენით თქვენი ტყეები და გვაჭრევინეთ შეშა. ვისაც უნდა მერაბაც იმან ამოირჩიოს და ხასადარიცა. ჩვენ-კი არც ერთი გვინდა, არც მეორე. დილიდგან დაწყობილი შუა დღემდინ გასტანა ასეთმა მათმა ცივ უარზე დგომამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა და გამოეცხადათ რომ ეს მთავრობის ბრძანებაა და არა თავად-აზნაურობის სურვილი, მაშინ სთქვეს: „ჩვენ რაღათ გვიბარებდით, ბატონებო, როგორც თქვენი ნებაა, ჩვენ რა წინააღმდეგობა შეგვიძლია“.

შემდეგ დაიწყეს არჩევა ხმის უმეტესობით მირაბისა; მირაბობის მსურველი თითქმის თორმეტამდის კაცი აღმოჩნდა და მათ იყარეს კენჭი. თავად-აზნაურობა ამობდა: მივცეთ კარგი ჯამაგირი და ამ თანამდებობისათვის შესაფერათ მომზადებული კაცი ავირჩიოთო. გლეხები იმას ამბობდნენ, ეგ სულ ერთია, ვინც გინდა ბრძანდებოდეს, ლიახვსა და იქიდან გაყვანილს რუებს წყალს ვერ მოუმატებს და ახლად დღემდე ურწყავ მიწებს სარწყავათ არ გადააქცევს, ისევ ისა სჯობია ამოვირჩიოთ, რახან არ აგვცდება, ვინც ნაკლებ ჯამაგირზე დაგვთანხმდებაო.

ამ დროს თ. ზაქარია ფალავანდიშვილმა განუცხადა ხალხსა უსასყიდლოდ სამსახური. თავად-აზნაურობამ და გლეხობამ დიდის სიამოვნებით და აღტაცებით მიიღეს წინადადება პატივცემულის თავადისა და ერთხმად ის ამოირჩიეს სამის წლით. მას კანდიდატათ დაუნიშნეს თ. კ. ხერხეულიძე. მირაბის ზედამხედველად უნდა იყოს საბჭო, რომელიც რამდენისამე წევრისაგან შესდგება. ჯერ-ჯერობით საბჭოს ორი წევრი ამოარჩიეს: თავ. სარდიონ ამირეჯიბი და თ. ნიკო დიასამიძე.

კრება ყრილობა ნაშუადღევის სამს საათზედ ძლივს ძლიობისას დაიშალა.

იანვრის უკანასკნელ რიცხვებში კარგა თოვლიც ჩამოყარა და თან ისეთი თბილი ტაროსი დაიჭირა, რომ სრულიად დაადნო და ააწუწუხა ქუჩები. თითქმის ლელიმასთანა წვიმაც გამოერია. ხალხი იტყვის ხოლმე, თუ იანვარში წვიმა გაჩნდა, უთუოდ ზღვა ჭირნახული მოვაო. ნეტავ ქართლს მართლა როგორი მოსავალი მოუვა. რაც შეეხება კერძოდ გორსა, ამბობენ იგი, უფრო და უფრო წარმატებაში შედისო.

მეკ ქაბუკი

## წერილები რედაქციის მიმართ

—

I

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა ვუძღვნა ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეს გიორგი ნესტორის ძეს ბ-ნ არეშიძეს, რომელმაც ალისუბნის სამრევლო სკოლის წიგნთ საცავს შემოსწირა შემდეგი წიგნები: 1) ნიკოლოოზ ბარათაშვილი, მამაცაშვილ სა; 2) სურამის ციხე, მოთხრობა დანიელ ჭონქაძისა; 3) ექიმბაში, თხზულება დიმიტრი მღვიმელისა; 4) ავაზაკნი, ტრაგედია ხუთ მოქმედებად, ანტონ ფურცელაძისა; 5) ვიქტორ-ჰიუგო, კლოდ გე და 6) ერთი წიგნი ჟურნალ „ცისკარი“-სა (1863 წ. ივლისის თვისა). ამასთანავე დავმენ, საყურადღებოდ ქართული ენის მოყვარულთა, რომ ჩვენი წიგნთ-საცავი ნორჩი და ღარიბია, ნამეტურ სახალხო და საყმაწვილო წიგნების უქონლობის გამო; ამისათვის უმორჩილესად ვთხოვ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ჩვენს მწერლებს და სხვათაც დაგვეხმარონ ადმოგვიჩინონ წიგნების შემოწირვით და მით დაეხმარონ ჩვენს სოფლის ხალხს, რომელსაც ასე ძლიერ სწყურიან წიგნების კითხვა.

ალისუბნის სამრევლო სკოლის მასწავლებელი მთავარ-დიაკონი მ. ბუაჩიძე.

ხა ადრესი: Ст. Квирилы. Чхари-Алисубани, учителю Алисубанской приходской школы діакону Михаилу Буачидзе.

II

—

გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე არ გახლავარ იმ ახალ ამბის ავტორი, რომელიც იყო მოწერილი სოფელ საქარიდგან (შორაპნის მაზრაში), ვითომც ერთს აქაურს მცხოვრებლს ავაზაკები დასხმოდნენ თავს, წაერთვათ ოცი თუმანი და ერთი ცხენი წაეყვანოსთ („ივერია № 11, 1894 წ.).—ამასთანავე გატყობინებთ, რომ ზემოხსენებული ახალი ამბავი მტკნარი სიცრუეა: სოფ. საქარაში არავითარი ავაზაკობა არ მომხდარა ამ ახალწლის დამდეგიდგან და არც არავინ გაუგლეჯიათ და არც არავისთვის წაურთმევიათ რამე და ნეტავ გაცოდეთ, საიდგან შესთხზა ზემოხსენებული ამბავი კორესპონდენტმა? *)

მასწავლებელი დაბლა საქარის საეკკლესიო სამრევლო სკოლისა იოსებ ბარბაქაძე
1894 წ. 31 იანვარს
სოფ. დაბლა-საქარა

## ამბოხი ორ სოფელ შორის

საითაც გაიხედავ: ქალაქად, დაბად და სოფლად ყველგან მტრობა, ყველგან შფოთი და უბედურებაა. ავიღოთ, მაგ., ზემო რაჭის მთის სოფლები: ღებელები და ჭიორლები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორის სოფლის მკვიდრნი მახლობელი მეზობლები არიან და მასთან ყოველ გვარ ნათესაობით ურთიერთთან შეკავშირებულნი, მაინც კიდევ ერთმანეთს მტრობენ და ერთმანეთის განადგურება სწადიანთ. დღეს რომ ერთი სოფლიდგან მეორე სოფელში მძახალი მძახალს, ნათლია თავის ნათლისმამას, სიძე ცოლის ძმას ან ცოლის ძმა სიძეს თავის სახლში იწვევს და სტკბებიან ურთიერთის სიყვარულით, ხვალ, დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი, ერთი მეორეზე იწევს და ამოწვდილის მახვილით მიდიან ერთმანეთის ამოსაწყვეტად.

ამ ორის სოფლის გონება-ჩლუნგი, უმეცარი და ყოველ სწავლა-განათლების უარ-მყოფელი ხალხი, რომელსაც მაცხოვრის მცნება-დადადი რახა-რუხად ეყურება, აჰყოლია ცრუპენტელა, ქარაფშუტა ენას და, მათდა ჯიბის საბარაქოდ, სწეწავენ და ჰკლეჯავენ ერთმანერთს! აი როგორ გახლავთ საქმე: ძველადგანვე, ათადმაბაბადამ, ღებელების სარგებლობაში, სათიბისიელი, ესრედ-წოდებული შთალა წიხვარგი. დიდი ხანია, რაც ჭიორლები ედავებიან ღებელებს ამ სათიბს, უნდათ გამოჰგლიჯონ ხელიდგან და თავის საკუთრებად იქონიან, ამ დავი-დარაბით არა ერთისა და ორის ბუზი ყლაპია აბლოკატისათვის კუჭი გამოუძღვიათ; მაგრამ არ იქნა, ვერ აისრულეს წადილი. ღებელებს უფრო ბრაზი მოსდით ჭიორლებზე და სადაც-კი მოახელებენ, სცემენ უწყალოდ.

უწინდელ დროში ღებელები და ჭიორლები თუ ისე თავისუფალნი ყოფილან, როგორც არიან ამ ჟამად თავისუფალნი სვანნი, მაგრამ ბოლოს, დროთა ბრუნვას, ესენიც სახაზინო გლეხებად გადაუქცევია. როგორც სჩანს ქვემორე სასიმღერო ლექსიდგან, ჭიორლებს მდიდანბეგობის დროსაც-კი სდომებიათ ხსენებულის სათიბის წართმევა ღებელებისათვის; მაგრამ ეს უკანასკნელნი გალაშქრებულან ჭიორლების წინააღმდეგ და დაუმორჩილებიათ მოდავენი. აი ეს ლექსიც:

„აირივნენ ჭიორელნი
შეეცვალაყე მხარიო,
უნდათ წაართვან ღებელებს
შთალა-წიხვარგის ფარიო.
ეს რომ ღებურთა შეიტყეს,
ყველამ შეიდე'ა თავიო
ეკკლესიის კარს შეგროვდნენ
ახსენეს მაცხოვარიო.
გაეფიცნენ ერთმანერთსა,
ერთმანეთს მისცეს მხარიო
გაელაშქრნენ სამრათა
ჭიორლებს დასცეს ზარიო.
თავ დამტვრეულნი ჭიორნი
შინ მივლენ ცოცხალ-მკვდარიო
ეუბნებიან ღებელებს:
„კმარა, გვანებეთ თავიო,
მაცხოვარს გაძლევთ თავდებათ
აწ აღარ გკადროთ ავიო
და ღმერთმა გიბედნიეროსთ
თქვენი წიხვარგის ფარიო“.

იმ დროდან ჭიორლებსაც აუღიათ ხელი ღებელებთან დავა-დარაბაზე, მაგრამ, რაკი ამ ჟამად ღებელებისა და ჭიორლების მიწა-წყალი სახაზინოდ იქმნა შერიცხული, ზოგიერთმა სახაზინო ქონებათა გამგეობის მოხელემ კვლავ აუშალეს ჭიორლებს ღებელებთან დავი-დარაბის საღერღელი. ჭიორლების ახალ საჩივარზე მთავრობამ დანიშნა გამოძიება. ამ სამის წლის წინად მობრძანდა გამოსაძიებლად სახელმწიფო ქონებათა გამგეობის რევიზორი ბ-ნი ჩაჩხიანი. ჩაჩხიანმა აქაურს ლესნიჩისა და პოლიციის ბოქაულის თანადასწრებით დაკვირვებით გამოიძია ეს საქმე და სადაო ადგილი აღმოჩნდა ღებელების მამულე'ის პლანში. ამ გამოძიებით კმაყოფილნი ღებელები სიამოვნებას მიეცნენ. „მადლობა ღმერთს! ძლივ არ გადავრჩით ჭიორლების ღირღიტსაო ამბობდნენ ისინი. მაგრამ, ჭიორლებმა მაინც არ მოისვენეს და წასულ 1893 წელს, სწორედ იმ დროს, როდესაც მთელი ღების ხალხი, დიდი და პატარა შთალა წიხვარგის ველს მივიდა სათიბად, ჭიორელმა მამასახლისმა ღებელებს კარს მოაყენა ვიღაც მიწის მზომელი. „მოდით ღებელებო, ზემლემერი მობრძანდა, უნდა შთალა წიხვარგა ჩაგვაბაროს და დაესწარითო“. ამ ამბით გულ მოსულმა ღებელებმა სათიბს თავი მიანებეს და მოგროვდნენ.

— შუა დღე მშვიდობისა, ბატონო! მოახსენეს სალამი ღებელებმა მიწისმზომელს.

— გაგიმარჯოთ.

— ვინ ბრძანდებით და ან რისთვის გასჯილხართ?

— მე ვარ «ზემლემერი» და უნდა მამულები ჩავაბარო ჭიორლებსაო. უპასუხა მიწის-მზომელმა.

ღებელებს შეექნათ ჩოჩქოლი, „ბიჭებო, ჭიორლები გვატყუებენ. ეს რომ მართლა ზემლამერი იყოს, მარტო არ იქნება, ან ლესნიჩი ეახლება ან პრისტავიო« ეუბნებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს მიუბრუნდნენ მიწის მზომელს და მოახსენეს: ბატონო, ჩვენ ვერ გიცნობთ, ზემლამერი ბრძანდებით თუ ინჟინერი. რაც უნდა იყოთ, სტუმარს პატივსცემის მეტი არა ეკადრება-რა; თქვენ, ემანდ მწვანეზე დაბძანდით და ჭიორლებს ჩვენც ჩავაბარებთ, რაც ჩასაბარებელიაო“ და დეერივნენ ჭიორლებს. გაიმართა სასტიკი ჩხუბი და მოკლე კეტების ჟაპაუბი.

ღებელებმა საკმაოდ იჯერეს გული მოუსვენარ ჭიორლებზე და იფრინეს წინ. წარმოიდგინეთ ახლა ამ სცენის მაყურებელის მიწის-მზომლის მდგომარეობა. თუმცა მისთვის პატივისცემის მეტი არავისრა უკადრებია, მაგრამ მაინც დიდად შეშინებია. ღებელებმა სთხოვეს მიწის მზომელს სოფლად სწვეოდა და მიეღო მათი პურმარილი. ამ წინა დადებაზე ზემლამრი ჯერ დათანხმდა, მაგრამ ბოლოს ისევ ჭიორლებისაკენ გაიწია. ღებელებმა მოახსენეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ჭიორლების მოუსვენრობა და სადაო სათიბის გარემოება; გუბერნატორის განკარგულებით ისევ ღებელებს დარჩათ სათიბი. მაგრამ რა გამოვიდა. ჩიტი ბრდღვნად არა ღირდა და დევნა მეტი იყოვო, ნათქვამია ანდაზად. ბ-ნ ზემლემერს უჩივლია ღებელებისათვის რაჭის მაზრის გამომძიებელთან და აგერ პირველ იანვრიდამ ვიდრე აქამომდე იწვევს ხალხს გამოსაძიებლად და ვინც 450 მანეთს გირაოდ არ დასდებს ან თავდებს არ იშოვის, ატუსაღებს ხალხს. მიწის-მზომელს რომ ან პოლიციის ბოქაული, ან აქაური ლესნიჩი წაეყვანა თან, ეს ჩხუბი და ბრძოლა არ მოხდებოდა და საქმეც თავის რიგით წავიდოდა მშვიდობიანად.

მ. ღებელი

## რუსეთი

—

უმაღლესად ნაბრძანებია, რომ დაწესებულ იქმნას თანამდებობა საიმპერატორო კარის მინისტრის თანაშემწესი და, მუქთს ეტლს გარდა, რომელიც სასახლიდგან უნდა მიეცეს, დაენიშნოს ჯამაგირად 6,000 მან., საჭმლის ხარჯად 6,000 მან. და სადგომის ხარჯად 2,000 მან. უმაღლესადვე არის ნაბრძანები, რომ სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრე-

*) რედაქცია ამით ამოწმებს, რომ ის ამბავი ბ-ნ ი. ბარბაქაძის მოწერილი არ იყო. რედ.

ტრებს ჯამაგირები მოემატათ და წელიწადში 9,000 მანეთამდე დაენიშნოთ.

—

სახელმწიფო საბჭო ამ ახლო ხანში განიხილავს ფინანსთა სამინისტროს პროექტს ფაბრიკისა და ქარხნის პატრონების, და იმათ მომუშავეთა დამოკიდებულებისა და ურთიერთობის შესახებ. ახალს კანონ-პროექტში დაწვრილებით არის შემუშავებული ის საგანი, თუ რა გზით უნდა იქმნას შესაძლებელი საერთო დაზღვევა მუშებისა.

—

პეტერბურგის საბჭოს 26 იანვარს დაუდგენია, რომ მდ. ნევის წყალი მავნებელიაო, და 50,000 მან. გადაუდვია, რომ გამოკვლეულ იქმნას, საიდგან უფრო სჯობია წყაროს სასმელ წყლის გამოყვანა მილით, დუდერგოფიდგანა თუ პირდაპირ ლადოგის ტბიდგან.

—

მოსკოვის ქალაქის გამგეობის სასტატისტიკო განყოფილების ცნობებიდგანა სჩანს, რომ ამ ჟამად ქალაქ მოსკოვს 25 მილიონი მან. ჰქონია საქველ-მოქმედო თანხა. ზოგიერთ საქველ-მოქმედო დაწესებულებათაგან ჯერ კიდევ ცნობები არ არის შეკრებილი. საერთოდ-კი მოსკოვის საქველმოქმედო საზოგადოებათა თანხა 50 მილიონი მან. უდრის თურმე.

—

ხარკოვის გაზეთები ერთს უცნაურს ამბავს იუწყებიან ცოლის გაყიდვის შესახებ. კუპიანის მაზრის სოფ. მეორე ნიკოლაევკას მცხოვრებელმა გლეხმა ლიტვინოვმა შინაურის ბარათით თავისი ცოლი მიჰყიდა თურმე გლეხს კალინა ლუკიანოვს 160 მანეთად. ორის კვირის მეტი ვერ გასძლო უცოლოდ ყოფნა, მივიდა ლუკიანოვთან და სთხოვა, შენს 160 მანეთს ისევე დაგიბრუნებ, მხოლოდ ჩემი ცოლი-კი მევე მომეციო. ლუკიანოვი სიამოვნებით დასთანხმდა, მაგრამ ცოლმა უარი სთქვა, არ მოინდომა იმ კაცთან დაბრუნება, რომელმაც იმისი დაფასება ვერ შეიძლო. ლიტვინოვმა საჩივარი შეიტანა ერობის უფროსთან, მაგრამ უფროსმა უარი უთხრა, ეგ საქმე არ მექვემდებარება, ვოლოსტის სასამართლომ უნდა გაარჩიოსო. აქ რომ ვერას გახდა-რა, ლიტვინოვმა ახლა ამ სასამართლოს მიჰმართა, მაგრამ აქაც ამაოდ, ვერა მოახერხა-რა. ამ გვარად ლიტვინოვის ცოლი ლუკიანოვს დარჩა და ეხლაც იმასა ჰყავსო.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** გლადსტონის სამსახურიდგან გამოსვლის გამო ატეხილი ლაპარაკი ჯერაც არ დაწყნარებულა. დაბეჯითებით გაიძახიან, მოხუცებისა გამო დაუძლურებულია გლადსტონი და ამიტომ თუ დაანებებს სამსახურს თავსაო. შარშანაც გაისმა ასეთი ხმა და ამბობდნენ კიდეც, რომ გლადსტონის ექიმი, აწ გარდაცვალებული, ანდრე კლერკი, დაბეჯითებით ურჩევდა გლადსტონს საპოლიტიკო მოღვაწეობას თავი დაანებეო. როგორც ეხლა აღმოჩნდა, კლერკს ამ ცრუ ხმების გასაფუქსავატებლად მაშინვე გადაუცია „British Wedieol Journal“-ის რედიქციისათვის წერილი გლადსტონის ჯან-მრთელობის შესახებ და უთხოვნია, მაშინ გამოაქვეყნეთ, როდესაც საზოგადოებისათვის სასარგებლოდ დაინახავთო. ეს წერილი დაბეჭდილია Daily News“-ის უკანასკნელს ნომერში. აი რასა სწერს კლერკი:

„სრული სიცრუეა, ვითომ მე როდისმე მერჩიოს გლადსტონისათვის, საპოლიტიკო მოღვაწეობას თავი დაანებე-მეთქი, და ძნელად დასაჯერებელიც არის ჩემ მხრივ ასეთი საქციელი. ჯერ ერთი, პასუხის გება, რომელსაც ამ შემთხვევაში ვიკისრებდი, გადასცილებოდა იმ საზღვარს, რომელიც არ უნდა გადაჰლახოს ექიმმა, თუ აუცილებელი შიში არა მოელისრა ავადმყოფს (გლადსტონს-კი ამ მხრივ საფიქრებელიც არა აქვს-რა); მეორედ, გლადსტონს საოცარი ფიზიკური და გონებრივი ძალ-ღონე აქვს. თუმცა მხცოვანია, სიჭაბუკე, მხნეობა და ძალა ისევ აქვს შერჩენილი. ძალა, მხნეობა და სიმაგრე ძარღვებისა ისე შეუსუსტებელი აქვს, რომ ამ სიკეთით გაცილებით სჯობნის ბევრს ახლად ჭაბუკობაში შესულსაც კი. ამას გარდა, დაუფასებელი თვისება აქვს, დიდხანს და კარგად იცის ძილი ღამე, რაც უნდა შფოთიანად და მღელვარედ გაეტარებინოს ის დღე; ეს თვისება შედეგია ერთის მხრივ ჩვეულებისა და მეორე მხრივ სხეულის სიმაგრისა. მაშინაც-კი, როდესაც ჰომრული უარჰყვეს, ძილის მხრივ გლადსტონს არა შეშლია-რა და ჯანმრთელობა არ შესუსტებია... შრომა გლადსტონს-კი არ აუძლურებს, ჯანსა და ღონეზედ აყენებს. ამიტომ არასოდეს არ ვურჩევდი უქმობას, რადგან იგი, სიკეთის ნაცვლად, ბოროტად იმოქმედებდა. მე მხოლოდ ის ვურჩიე, პალატაში ხანგრძლივად ყოფნას ერიდე ხოლმე, მეტად ბევრს საქვეყნო მაგალითებს ნუ იკისრებთ და ცუდს ტაროსს გაუფრთხილდით-მეთქი“.

—

**გერმანია.** „Post“-ი იუწყება, რომ გერმანიის სამხედრო მინისტრმა ერთს საზოგადოებაში განაცხადა, იმპერატორს ჯარის მხრივ მადლობა გადავეცი ბისმარკთან შერიგებისათვისაო. გაზ. „Beichsbote“ ამ ამბავს დასძენს: იმპერატორმა მინისტრს მიანდო, ვისაც ეს შერიგების ამბავი საყურადღებოდ და საგულისხმოდ მიაჩნია, შეგიძლიანთ განუმარტოთ, რომ ამ ჩემს საქციელს არავისი გავლენა არა ჰქონია, ჩემი სურვილი იყო ასე მოვქცეულიყავიო.

—

**სერბია.** ბელგრადიდგან დეპეშით სწერენ გაზ. „Temps“-ს: თითქოს შეირყა ის დიდი გავლენა, რომელიც ამ ბოლოს დრომდე ჰქონდათ სერბიაში რუსეთის ელჩს პერსიანის და საფრანგეთისას პეტრიმონიას. სადიპლომატიო წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ ეს ორი ელჩი მეფეს დაჟინებით ურჩევდნენ, პაშიჩს მიანდე სახელმწიფო საქმეების მართვაო. ამას დასძენენ, რომ ამის გამო რუსეთის მთავრობა დიდად უკმაყოფილოა და ჰსურს უკანვე გაიხმოს პერსიანიო. ის ხმაც გაისმის, რომ მეფე მილანი ჯერ ისევე პარიჟში ყოფნის დროს სამთა კავშირის ელჩებს მოურიგდა და გადასწყვიტა იმ ლონისძიებათა ხმარება, რომლის წყალობითაც რადიკალები მთავრობის სათავეში დგომიდგან განშორებულ იქმნენო. ამ ხმათა სიმართლე ძნელი გამოსარკვევია, მაგრამ ის-კი აშკარაა, რომ სერბიაში დიდი ცვლილებანი ხდება: რუსეთისა და საფრანგეთის სერბიაზედ გავლენა ადგილს უთმობს ავსტრი-უნგრეთისა და გერმანიის გავლენას. საიდუმლო არ არის ისიც, რომ ბ-ნი პერსიანისა და პეტრიმონიოს წყალობის თვალით არ უყურებენ სასახლეში და გული ახლა უფრო ბ-ნთ ტემმელისა და ვეკერ-გოტტერისკენა აქვთ.

## საბიბლიოგრაფიო წერილი

ჩვენ სახალხო საექიმო წიგნები.

2. კარაბადინი, სახალხო საექიმო წიგნები. შედგენილი დეკანოზის დავით ღამბაშიძის მიერ. გამოცემა მ ე ო რ ე დამატებით ქუთაისის 1893 წ. ფასი 1 მ. 20 კ.,

3. საექიმო ცნობები ვ. გუნიასი „საქართველოს კალენდარში“ 1894 წ.

(შემდეგი *)

ახლა გადავსინჯოთ მეორედ გამოცემული „სახალხო საექიმო წიგნი კარაბადინი“ დეკანოზ ღამბაშიძისა. ავიღოთ ის მეოთხე განყოფილება, რომელსაც ეწოდება: „წამლების აღწერა, მათი მომზადება, თვისება და ხმარება“.

იხილე გვერდი 400, მეორე სტრიქონი ქვეიდგან „ათი გრანი ზანგის, ოპიუმის გადმონადუღისა (?)—ექვსი გრანია“. ნეტა რას უძახის ავტორი ოპიუმის გადმონადუღს? უეჭველია, настойка опіи. მერე განა აფიონის ნამდვრალა ანუ კაპლი გადმოდუღებით მზადდება!?.

№ ე.) მოყვანილია „გოფმანის კაპლის“ მომზადება. ერთ ნაწილ ეთერზე ო რ ი ნაწილი სპირტი უნდა და არა ს ა მ ი ნაწილი სპირტი, № 3.) მერე რატომ არ აჩვენებთ, სპირტი რამდენი უნდა იხმაროს ამ გამოჩენილ, უნივერსალურ, ‹კაპლის› მოსამზადებლად? № ი.) ‹ბაზლამი› რა სიტყვაა? „სალთეი“ რა წამალია? № ია.) განა ძმარი და ძმარმჟავე ერთი და იგივეა? ძმარ-მჟავეს რუსულად უკსუსნი კისლოტას ეძახიან. № იბ.) ჰიანქველების სპირტი მშვენიერი რამ საშუალებაა და რატომ არ ამბობთ, რა და რა სატკივარისათვის იხმარებ? ამისთანა სახალხო წამლებს, რასაც უფრო განმარტამ, იმდენი კარგია: გარდა ტექსტისა აქაც უნდა ყოფილიყო მოხსენებული. № იგ.) რას ბრძანებთ! განა კროტონტი ქ ე ზ ა ფ ი ს ზ ე თ ი ა! ამასთანავე ამისთანა საწამლავ წამლებს სახალხო კარაბადინებში რა ადგილი აქვს! კბილის ტკივილისთვის განა არ შეგეძლოთ, მაგალ., მ ი ხ ა კ ი ს ზ ე თ ი გერჩიათ: არც საშიშია და ხშირადაც რგებს. № იდ.) შაბის სასმელად ხმარება სჯობს სრულებითაც არ ურჩიოთ. მთელი არსენალია წამლებისა და განა სხვა ვერაიპოვენით რა? № იე.) უკაცრავად-კი გახლავართ და რათ სთარგმნით იძას, რის თარგმნაც არ შეგიძლიანთ? თქვენ ხომ ქიმიკოსი არ ბძანდებით და მაშასადამე, ვინ დაგემდურებოდათ, რომ საცა ძალა ვერ შეგწევთ, იქ რუსული სახელები დაგეტოვებინათ. თორემ აბა რასა ჰგავს ეს? განა „ბელი კუპოროსი. სერნოკისლიცინკი“ თ ე თ რ ი შ ა ბ ი ა მ ა ნ ი ა?!! ან თეთრი შაბიამანი განა ჟ ა ნ გ ა რ ო ა?!!

მერე ისიც სადა, თვალებში ჩასაწვეთებლად ურჩევთ! ვსთქვათ, თ ე თ რ შ ა ბ ი ა მ ა ნ ს ქვეყანა რომ შემოიარონ, ვერ იშოვნიან, მაგრამ ჟანგარო-კი შეიძლება ბაზარში მეწვრიმალეს გამოართვან და თვალში იხმარონ! აი ნამდვილს მე გითარგმნით: „ბელი კუპოროსი“ ქართულად თ ე თ რ ი ა ჯ ა ს პ ი ა. „სერნოკისლიცინკი“ — გ ო გ ი რ დ მ ჟ ა ვ ა თ უ თ ი ა ა რ ი ს და ეს ორი სახელი ერთსა და იმავე წამალს ეწოდება. № იზ.) გუმიარაბიკი განა ფისია? თუ-კი რუსულად სწერთ „კამედ“ მაშ კამედი განა ფისია? კამედი ხის წებოა და ქართულად გ ო მ ი ზ ი ეწოდება, № ით,) რევანდის სიროფი მშვენიერი რამ საშუალებაა ბავშვებისთვის და თქვენ-კი ასე ცოტას ამბობთ ამ წამალზედ. № კ.) რატომ არ იხსენებთ რევანდიან ინგლისის მარილი რამდენი უნდა? № კა, გლაუბეროვი რუსულად არი, ქიმიკოსის გვარია და ქართულად უნდა ითარგმნოს გ ლ ა უ ბ ე რ ი ს ა რა გლაუბეროვი. რუსი ხომ არ იყო კაცი. № კბ. მამა ღამბაშიძეს ორი რეცეპტი მოჰყავს პ ი რ ი ს ს ა ქ მ ე ბ ი ს თ ვ ი ს. ეხლანდელ დროში განა კიდე ხმარობენ პირიდგან სასაქმებელ წამლებს? ვსთქვათ, იშვიათად სჭირდებათ ბავშვების ავადმყოფობაში, როცა მოგროვილ ხორხის გამო სული ეხუთებათ და სხვა. მაგრამ რა ალაგი აქვს პირიდგან სასაქმებელ წამლებს სახალხო კარაბადინებში! მეტადრე ჩვენ ხალხში ის ცრუ აზრია გავრცელებული, რომ პირიდგან-კი ასაქმოს და ყველა სენი გარედ გამოვაო...

სისხლ-ჰარბ და კისერ-მოკლე კაცს-კი ტვინის ანთება შეიძლება დაემართოს. № კდ. და № კვ. ამ რეცეფტებიდგან ეტყობა, რომ ავტორს ღვინის მარილი და ღვინის მარილის მჟავა ერთი და იგივე ჰგონია. ამასთანავე შუშხუნა სასმელების მოსამზადებლად სოდას და „კისლოტას“ ერთსა და იმავე წონისას ურჩევს, მაშინ როდესაც სოდა უნდა რამდენისამე გრანით მეტი იყოს, № კჱ ჩვენს დეკანოზს-ქიმიკოსს ასე უთარგმნია: ხინა=კოგირდ-მჟავე ხინა (?), ქინა-ქინა=სერნოკისლი ხინინ (?) სათაურში იმავე ქინა-ქინას „სოლიანოკისლი ხინინ“-ს ეძახის. მოდი და ახლა გაიგე, რის თქმა უნდა, ამასთანავე განა იმერეთის (ზღვის პირის) ციებ-ცხელებას ჯერზედ ო რ ი გ რ ა ნ ი ქინა-ქინა ეყოფა?! ათ გრანზედ ნაკლებ, აბა, რა სათქმელია. ეგ რუსულიდგან რომ გითარგმნიათ, რუსეთის ციება სულ სხვა არის და იქ, სადაც ქათმებსაც-კი აციებს, ორი გრანი ქინა-ქინით რას გაარიგებთ.

№ ლდ) „საკმეველის ზეთი“ რა არის? № მვ. „სალთეი“-ს ორგან შევხვდი, ნეტა რა არი? უთუოთ шалорей-ს თქმა გინდათ, რომელსაც ქართულად ს ა ლ ბ ი ა ეწოდება. № მგ.-ში მოყვანილი კბილების სახეხი წამალი ძრიელ ავნებს კბილებს, რადგან ქაფური ერთობ ბევრია. № მე. „სურნელებიანი ნივთები“ რასა ჰქვიან? № მვ გასაყიდელი სოდა ვანაში რო ჩავყარო, განა ამით ნაცარტუტის აბანო გამოვა? № მჱ) დასარბილებელი“ ნივთები რაღაა? რატომ არ ამობთ: „სურნელებიანი ბალახები“ „სალბუნებელი ბალახები“ და სხ.

№ ნ) რას ბძანებთ, „ნ ა ხ შ ი რ მჟავე“ განა პატაშია!? რად ამახინჯებთ მეცნიერებას!.. № ნ ბ. განა ყინულს იმერულად ყ ი ნ ვ ა ჰქვიან? ყინვა Морозъ-ს ეწოდება. № ნ გ. კომბოსტოს იმერულად განა კ ა პ უ ს ტ ა ს ეძახიან? ამასთანავე თბილი შემოსადები წამლები ცეცხლზე-კი არ უნდა მ ო ხ რ ა კ ო, უნდა სქელი ფაფა გაკეთდეს და ისე შემოადოს. № ნ დ. ჩვენ არ გვესმის, რა საჭირო იყო სახალხო კარაბადიანში „შპანსკის ბუზების წამალი“ რომელიც „შპანსკია მუშკი“-დგან უთარგმნია?! მერე რა რიგათ აქებს ავტორი „შპანსკის ბუზების წამალს“: „გარეგან საშუალებათა შორის ამ წამალს არც ერთი წამალი არ შეედრებაო“... თქვე დალოცვილებო, თქვენ რო მოგწონდეთ, სხვისი რაღა ბრალია, რომ მარჯვნივ-მარცხნივ შპანსკის მუშკები დაიკრას... წარმოიდგინეთ, რო მკურნალები ძალიან იშვიათად ხმარობენ ამ „შპანსკის მუშკას“ და ეს იმისთანა საშინელი საწამლავია, რომ სახალხო კარაბადინიდგან სრულებით განძევებულ უნდა იქმნას. № ჲ) უბრალო ნუშის რძის მომზადებაც თუ არ იცით, მაშ ამოდენა კარაბადინს რად სჭიდებთ ხელს!? ნახევარ გირვანქა ნუშიდგან იცით რამდენი ნუშის რძე მომზადდება ო...თ-...ხი გირვანქა, ანუ ორი დიდი ბოთლი ღვინისა. აგვაშენებდით აფთიაქრებს, რომ ერთს სტაქან ნუშის რძის მოსამზადებლად ნახევარ-გირვანქა ნუში გვეხარჯებოდეს! № ჲთ) ავტორი ამბობს: „აილე წებოიანი ცაცხვის ხისგან (?) მომზადებული მალამო (აფთიაქში ჰკითხე)... ნეტა რას უწოდებს მამა ღამბაშიძე წ ე ბ ო ი ა ნ ც ა ც ხ ვ ი ს ხ ე ს!? № ო) განა თეთრი ნავთი და სკიპიდარი ერთი და იგივეა? მაგრამ გვეყოფა და ნულარც მკითხველს მოვაბეზრებთ თავს; მხოლოდ ამას-კი ვიტყვით, რომ შედარებით ავიღოთ, ისევ დეკანოზ ღამბაშიძის კარაბადინი სჯობს „სიმრთელის კიდობანს“. თუ არ იცის ზოგიერთა ტერმინები, მას, როგორც მღვდელს, მეტიც არ მოეთხოვება. აკი თითონაც ამბობს წინა სიტყვაობაში: „ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ჩვენი ნასწავლი ქართველი ექიმები ამდენის ხნის განმავლობაში უკეთესს საექიმო წიგნს შეადგენდნენ ხალხისთვის, მაგრამ მოვსტყუვდით! ამისათვის ჩვენ შევუდექით კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ს მეორედ გამოცემოსაო და სხვ.!!—ამ ალსარებების შემდეგ დეკანოზ დავით ღამბაშიძეს ყოველივე შეცდომები ეპატიება „ნებსითნი და უნებლიეთნი“

ზიარელი პროვიზორი

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 25.

## გასართობი

—

განსვენებულმა თვალთმაქცმა ბეკკერმა ბერლინში ყოფნის დროს ხალხს აჩვენა ერთი შესანიშნავი თვალთ მაქცობა, თავისი ცოლი ერთს თვალის დახამხამებაზედ გააქრო და უჩინოდ ჰყო. ეს თვალთ მაქცობა საზოგადოებას ძალიან მოეწონა და დიდის ტაშის კვრითა სთხოვეს მისი განმეორება, რაც ბეკკერს არაფრად ეპაშნიკა. თვალთმაქცი სცენის წინ მიდგა და უთხრა საზოგადოებას:

— ბატონებო, თუმცა მაჰმადიანთა წესი ყველასათვის მოსაწონია, მაგრამ რამდენისამე ცოლის შერთვის ნებას არ გვაძლევს კანონი. ერთად-ერთი ცოლი მყავდა, რომელიც თქვენს თვალ წინ გავაქრე და ასე უცბად მეორე საიდგან ვიშოვო, რომ იმასაც ეს დღე დავაყენო თქვენდა გასართობლადაო. ხოლო თუ თქვენგანს ვისმე ბოროტი და ანჩხლი ცოლი ჰყავს და თავი აქვს იმისაგან მობეზრებული, გამოაცხადოს და ერთს წუთას გავაქრობ.

თეატრის სავრძლების პირველს რიგში თავის ცოლითურთ იჯდა დიდად შეძლებული მეპურე. თვალთმაქცის სიტყვები სიმართლედ მიიღო ამ მეპურემ, წამოდგა და ხმა მაღლა გამოუცხადა:

— მოწყალეო ხელმწიფევ, ოცს თუმანს

ეხლავე დაგითვლით, თუ ჩემს ცოლს ისე გააქრობთ, რომ აღარ დაბრუნდესო.

ამ სიტყვების გაგონებაზედ გაანჩხლებული მეპურეს ცოლი წამოხტა და ლაზათიანი სილა სტკიცა თავის საყვარელს მეუღლეს. მთელმა თეატრში მყოფმა საზოგადოებამ ტაშის ცემა დაიწყო და ზოგიერთს სიცილით ფერდები ეტკინათ.

## ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

—

საუკეთესო საშვალება სისხლის შესაწყვეტად. როდესაც სისხლის მდინარება აქვს ვისმე, (Lamium album). ამ ჭინჭარს რუსულად „ყრუს“ ეძახიან და „მკვდარს“, რადგანა არა სუსხამს; ჰქვიან აგრედვე „თეთრი“, რადგან ყვავილი თეთრი აქვს.

ამ ჭინჭრის ღერო უნდა მოსჭრათ 10—15 სანტიმეტრამდინ თავიდგან ყვავილებიანად და კარგად დაჩეჩქოთ საქსონის ავანდასტაში ან წვრილად დაჭკუწოთ. მერე ან დაჩეჩქილი და ან დაკუწული ისე დასრისოთ, რომ წვენი გამოუვიდეს; ეს წვენი ჩაასხით შუშაში, რომელიც წონით 25 მისხალი უნდა იყოს. ეს შუშა ყელამდი აავსეთ ამ გამონაწურ წვენით, ჩასდგით წყალში და ეს წყალი ისე გააცხელეთ, რომ 10 წუთს იდუღოს, შემდეგ ამოიღეთ და გააცივეთ შუშა, ჰერმეტიულად დაუცეთ და შეინახეთ ბნელსა და ცივ ადგილს. ერთი რუმკა ამ წამლისა საკმარისია დასალევად, რომ სისხლის მდინარება შესწყვიტოს და თუ ვინცობაა ერთმა რუმკამ არ უშველა, 15 წუთს შემდეგ კიდევ იმდენივე დაალევინეთ.

ეს-კი უნდა იქონიოთ მხედველობაში, რომ ბევრი არ მოამზადოთ ეს წამალი, რადგან ყოველთვის საჭიროა ახლად გაკეთებული იყოსდა არა ძველი.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

1 თებერვალი

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ** გამოცხადებულია პროექტი ხელ-შეკრულობისა, რომელიც უნდა დაიდოს რუსეთსა და გერმანიის შორის ვაჭრობისა და მეზღვაურობის შესახებ.

კრება საადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა უკვე გათავდა. გადაწყვეტა საქმისა ფინანსთა მინისტრის ნება ყოფლობაზედ არის დამოკიდებული.

გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი, რომ ვითომ მეურნეობის სამინისტროს დაწესების პროექტი მოიწონა სახელმწიფო საბჭოს საერთო კრებამაო, მართალი არ არის. პროექტს განიხილვენ 14 თებერვალს.

2 თებერვალი

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** პოდოლის გუბერნატორი ნარიშკინი დანიშნულ იქმნა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგად.

საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ 24 მარტს რომში შეიკრიბება მეთერთმეტე საერთაშორისო სამკურნალო კონგრესი.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** პეტრე-რაზუმოვის სამკურნალო აკადემია ხვალ უნდა დაიკეტოს საბოლოოდ. აკადემიასთან დატოვებულ იქმნება დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ზახაროვი, გამგე ფერმისა, ტყისა და ბოლოსნობისა, სამეტეოროლოგიო ობსერვატორიისა და სხვა დაწესებულებათა; აკადემიის პროფესორები შტატს გარეშე იქმნებიან დატოვებულნი. აკადემია გადაკეთებულ იქმნება მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტად, რომელშიაც სწავლა დაიწყება ამა მიმდინარე წლის შემოდგომიდგან.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** ტერმინიუსის ყავახანაში ყუმბარა შეაგდეს. დამნაშავე გაიქცა და უკან დადევნებულს ხალხს ექვსჯერ ესროლა რევოლვერი და ორი კაცი დასჭრა; პოლიციელებმა, რომელთაც დამნაშავე დაიჭირეს, ძლივს გადაარჩინეს ხალხს, რომელსაც მისი მოკვლა უნდოდა. ყუმბარის აფეთქების დროს ყავახანა „ტერმინიუსში“ დიდძალი ხალხი იყო და მუსიკა უკრავდა: ყუმბარამ ძლიერად იფეთქა და საშინლად შეაშინა ხალხი, 15-იდე კაცია დაჭრილი; ყველანი პარიზელები არიან. დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ დამნაშავე ამ ყავახანიდგან დათხოვნილი მოსამსახურეაო, შურისძიება უნდოდაო. იგი დააპატიმრეს დაახლოვებით ასე 150 მეტრზედ ყავახანიდგან. დაპატიმრებულმა განაცხადა, რომ გვარად ლებრეტონი ვარო, 30 წლისა, ანარხისტი, მარსელიდგან მოვედიო. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ლებრეტონი ცნობილ ანარხისტთა გუნდს ეკუთვნისო. სამი კაცი მძიმედ არის დაჭრილი; სხვანი-კი სუბუქად. ჟურნალ-გაზეთები საშინლად დრტვინავენ და ზოგიერთი გაზეთები თხოულობენ, რომ ახალი კანონები იქმნას დადგენილი ანარხისტთა წინააღმდეგაო. ამ ყუმბარის აფეთქებისა და აგრეთვე «ივრის» სასაფლაოზედ ვლიანის სამარესთან მომხდარ მანიფესტაციათა გამო მინისტრთა საბჭომ დაადგინა აღკრძალოს ყოველ გვარი მანიფესტაცია და შემაძრწუნებელ სიმბოლოთა ტარება სასაფლაოზედ.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** განმარტებულ იქმნა, რომ ყავახანაში ამფეთქებელი, ლებრეტონი-კი არა, ემილ ჰანრი ყოფილა, იგი დაბადებულა 1872 წლის 26 სექტემბერს მარცელონში; დედ-მამა ფრანგები ჰყოლია, პარიჟში ლონდონიდგან არის მოსული; პოლიციაში ანარხისტად არის ცნობილი; პოლიციას ისიც სცოდნია, რომ ჰანრი 18 იანვრიდგან პარიჟში იმყოფებ; ანარხისტი ჰანრი ლონდონში არავითარს საქმეზედ არა მდგარა. წინად პარიზში უმსახურნია მექანდაკეს სახელოსნოში და ავეჯეულობის ვაჭართნ. ჰანრიმ განაცხადა, რომ ჩემის სურვილისამებრ ვიქცეოდი და თანამონაწილე არავინა მყოლიაო. „Paris“-ის სიტყვით, ჰანრი ლონდონიდგან რომ წამოსულა, თან სამი ანარხისტი გამოჰყოლია, ასე რომ აქ შეთქმულობა უნდა იყოს შემდგარი ლონდონში ვალიანის შურის საძიებლად. შინაგან საქმეთა მინისტრი და პოლიციის პრეფექტი დიდხან თათბირობდნენ; ამბობენ, რომ ამის გამო ბევრი იქნება დაპატიმრებულიო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 თებერ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | -- ,, | 7,46 | 7,48 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | 149 | 149¾ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 242¼ |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 226¼ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 100¼ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 98¾ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 100¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 98¾ | — ,, | — |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — , | — ,, |

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ:


კახეთის ახლად შემდგარს ვენახების პატრონთ ამხანაგობა, დაარსებულია იმ აზრით, რომ ადგილობრივ და შიდა რუსეთის ბაზრებში გაიტანოს ნამდვილი კახური ღვინო ამ ამხანაგობის წევრთა ვენახებისა. ამხანაგობა მოქმედებას დაიწყებს ამა წლის 5 თებერვლიდგან.

ნარდად და წვრილ-წვრილად გაიყიდება ტფილისს, ამ საზოგადოების საწყობ სარდაფებსა და მაღაზიებში; 1) მიხაილოვის ქუჩაზედ, სლივიცკის სახლში; 2) ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლაში.

(10—1)

1893 წლის 8 ივნისის სატრაქტირო დებულების მე-34 §-ის თანახმად, ქალაქის გამგეობა სთხოვს ლუდხანებისა, რომელშიაც ცხელს საჭმელს აკეთებენ, ღვინის სარდაფებისა, სასტუმრო ოთახებისა, ყავახანებისა, ჩაის მყიდველებისა, რომელთაც ცხელ საჭმლის კეთების უფლებაცა აქვთ, კანდიტერებისა და პიროჟნის მკეთებელთა მობრძანდნენ 4 ამა თებერვალს, პარასკევს, 1894 წლისას, ქალაქის გამგეობის სადგომში და განაწილონ თავის შორის სატრაქტირო გარდასახადი 1894 წლისა, რომელიც ქალაქის სასარგებლოდ უნდა გამოერთვათ.

ხოლო ტრაქტირებისა, სასმელ დუქნებისა, ბუფეტებისა, გასტინიცებისა, სასტუმროებისა, საჭმელ დუქნებისა და ბაკების პატრონთ, ქალაქის გამგეობა, სატრაქტირო დებულების მე-33 §-ის თანახმად, სთხოვს მობრძანდნენ: 1, სასმელ დუქნების პატრონი 1894 წლის 5 თებერვალს, კვირას, ქალაქის გამგეობის სადგომში; 2, ტრაქტირების პატრონთ 1894 წლის 8 თებერვალს; 3, ბუფეტებისა, გასტინიცებისა და სასტუმროების პატრონთ ამა 1894 წლის 10 თებერვალს; 4, საჭმლის დუქნების პატრონს—1894 წლის 12 თებერვალს და 5, ბაკების პატრონთ—1894 წლის 14 თებერვალის გარდასახადის გამანაწილებელ კომისიის წევრთა ამოსარჩევად.

(3—2)

## „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ით საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7\frac{1}{2}$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ 1894 Წ.**

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ᲤᲐᲡᲘ 50 ᲙᲐᲞ.

**უბის წიგნი 1894 წლისათვის**

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ᲤᲐᲡᲘ 40 ᲙᲐᲞ.

**სამაჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.**

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

**ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ 1894 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ**

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტუღუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.

**ᲡᲐᲡᲐᲞᲐᲠᲔᲚᲝ ᲔᲡᲡᲔᲜᲪᲘᲐ ᲙᲝᲚᲑᲔᲘᲠᲡᲐ**

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი



რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.